№ 141. 20 ივლისი, ოხთშაბათი. 1866—1883 20 ივლისი, ოხთშაბათი. № 141.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან ბატონის სახლში კლუბის ქვემოდ.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»
«დროების» ფასი
მთელის წლისა . . . 9 მან. ‖ სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. ‖ ერთის თვისა . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

„დროებაზედ“

ნახევარ წლით პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდე. ფასი ხუთი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის ოთხი მანათი.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

დუშეთში, გაბო ბაშაროვთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

პოლტავა, 18 ივლისს. გუშინ, პარაკლისის შემდეგ, გაიხსნა სოფლის მეურნეობის გამოფენა. ზალესსკიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოხატა გამოფენის მნიშვნელობა და ახლად დაარსებული საგლეხო ბანკისა. სიტყვა ყველას მოეწონა და ტაში დაუკრეს.

მოგილიოვი-პოდოლსკი. ყველაფრის მოსავალი ძალიან კარგია.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 15 ივლისს. ცეცხლმა გადაწვა სემენოვკაში 180 სახლი, ბევრი მოძრავი ქონება და საიარმუკოდ მომზადებული ადგილობრივი ხელოვნების ნაწარმოები, გადამწვარი შენობები ღირდა 300,000 მანეთი. დაარსდა კამიტეტი, რომელმაც გადამწვრებს შემწეობის რამე ღონის-ძიება უნდა ამოუჩინოს.

ნეაპოლი. 15 ივლისს, საღამოთი, ისკიის კუნძულზედ მოხდა საშინელი მიწის ძვრა, რომელმაც მრავალი სახლები დაანგრია და 1000 კაცზედ მეტი მოკლა, სასავადმყოფოები და ეკლესიები სავსეა დაჭრილებით.

---

თბილისი, 19 ივლისს.

ჩვენ მივიღეთ ამ ბოლოს ხანებში «შრომის» ჩვეულებრივის №-ს მაგიერ ერთი ნამცეცა ფურცელი «შრომის» რედაქციისაგან. ამ პატარა ფურცელმა გვაცნობა «შრომის» გამოცემის დროებით შეჩერება ცენზურის ქუთაისიდამ თბილისში გადმოტანის გამო. . . . . მაგრამ «შრომის» რედაქციას იმედი არ მოსპობია და თხოვნა შეუტანია, სადაც ჯერ არს, შესახებ იმისა, რომ ცენზურა ისევ ქუთაისში დაუბრუნონ. თუ «შრომის» კანონიერი თხოვნა შეწყნარებული იქმნა, მაშინ, იმედია, გაზეთი განაგრძობს თავის სამსახურს საზოგადოებისადმი. ჩვენ კარგად გვესმის, თუ რა ყოფაში იმყოფებოდა «შრომა» ამ უკანასკნელს დროს და ამისათვის დიდის მოუთმენლობით მოველით იმ დროს, როცა რედაქციის თხოვნა შეწყნარებული იქნება და რაზმიდამ დროებით გამოკლებული თანამოძმე ისევ გვერდში ამოგვიდგება.

მართალია, ზოგიერთ წვრილმანებში შუღლი გამოგვერია «შრომასთან», მაგრამ დღეს გულწრფელად ვაღიარებთ, რომ სწორედ სამწუხარო და დასაკლისია ჩვენის მასუსტებულის მწერლობის და საზოგადოებისთვის ამ გაზეთის შეჩერება, რადგანაც მწერლობას უქრება ერთი ლამპარი და საზოგადოებას ორგანი, რომლის საშუალებითაც შეუძლიან მას თავის მოთხოვნილებათა, აზრთა და გრძნობათა მცირედი ნაწილი საქვეყნოდ აღიაროს.

გულ-წრფელად ვიტყვით, რომ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე «შრომის» შეჩერებამ; სხვაფრივ ეს გარემოება ვერ იმოქმედებდა: . . .

. . . . . . . . .

თავი დავანებოთ მწუხარებას და გავიმაგროთ გული იმავე იმედით, რომელიც გულში უღვივის «შრომის» რედაქციას შესახებ მის თხოვნის შეწყნარებისა. მოელოდებოდეთ «შრომის» აღდგენას და ვიმედოვნოთ, რადგანაც მხოლოდ იმედით ცოცხალ ვართ და მის მეტი არა დაგვრჩენია რა; ვისულდგმულოთ იმედით, რადგანაც უიმედობა მოასწავებს სიცოცხლის გაქრობას.

ზემოთ მოხსენებული სენი რომ არ მოხვეოდა «შრომის» რედაქციას, გაზეთი «შრომა» უკეთ იწარმოებდა და გავლენასაც შეიძენდა საზოგადოებაზე. ქუთაისი და საზოგადოდ იმერეთი ისეთი ნიადაგია, რომელზედაც იხეირებს ჟურნალ-გაზეთობა, რადგა-

---

«დროების» ფელეტონი 20 ივლისი.

### ბათუმის სურათები

შავის ზღვის ნავთ საყუდარი მზის შუქით ვერცხლსავით ლაპლაპებს; სხვა-და-სხვა გვარი გემები, სხვა-და-სხვა გვარის სიდიდისა გაუნძრევლად დგანან და უზარმაზარ სურათს წარმოადგენენ. წვრილი ნავები იმათ შუა სწრაფად და მარდად დაძვრებიან. აგერ რომელიმე უზარმაზარმა გემმა დაიხვნეშა და ვეებერთელა ბუხრიდან ავარდა უპრიელსავით შავი კვამლი და დატრიალდა ჭახრაკი, აქაფდა წყალი და მედიდურად, ამაყად და შეუპოვრად შეუტია ზღვას, სადაც ვინ იცის რამდენი განსაცდელი მოელის, რამდენის ზვირთის გაპობა მოუნდება, რამდენს გაჭირვებასთან ბრძოლა?...

აგერ გავიდა გამხეცებულის ზღვაშიაც... წყალის ზვირთები მთებსავით მოგორავენ, მოსდევენ ერთმანეთს, წამოეწევა ერთი მეორეს, შეეტაკება, აქაფდება, ადუღდება და გრიალით დაიშლება, რომ თავის ადგილი დაუთმოს მეორე ზვირთს, უფრო დიდს, უფრო ძლიერს! წელან ისე სიწყნარით, მედიდურად მიმცურავი გემი ეხლა ნაფოტად გეჩვენებათ, რომელსაც თავის-ქეიფა წყალი აქეთ იქით ისვრის, აგდებს. ყოველ ფიცარს, ყოველ ხეს ჭრიჭინი გააქვს, ყოველ წუთს მოელით რომ ერთი ძლიერი ზვირთი შემოეტაკება და ძლიერის შენობისა მარტო ნაფოტები-ღა დარჩება, მაგრამ კაცის გონების მოგონილი და მისის ხელით გაკეთებული ბუნების გამძვინვარებას უმაგრდება, ტალღებს აპობს და თუმცა წყნარა, გაჭირვებით, მაგრამ უვნებლად მიცურავს, ბუნების ძალას ეწინააღმდეგება.

უყურებ ამ სიცოცხლით სავსე სურათებს და გულით გიხარიან, რომ ადამიანებს ეკუთვნი, ეკუთვნი იმ ქმნილებათ, რომელთა გონების ძალამ აქამდე მიაღწია!..

***

საღამოა, მთვარე ნაზად ეალერსება სარკესავით დაწმენდილს და გაყუჩებულს წყალს. ზღვის ნაპირად ხალხი დასეირნობს, გული რაღაცა განსაკუთრებულის გრძნობით გევსება. საერთო ჰარმონიას მარტო დამოქნის უშნო გაქონილი და გათუთხნილი შენობა არღვევს. აწოწილი ზღვის ნაპირად, გულს სევდით გივსებთ, რომ ბნელსა და უსიამოვნო ფარდად ეფარება კალმისგან აღუწერელს სურათებს...

ზღვა ნაზად გიწვევს, თითქოს გეუბნებათ «შემომხედე რა კეკლუცი ვარ?... მე იმისთვისა ვარ გაჩენილი, რომ შენ დასტკბე, მოდი რაღას ელი?» და თქვენც გატაცებული ამ მიმზიდავის, თუმცა უჩინარის ხმით გაემართებით ზღვისკენ.

— Нельзя! გაგაჩერებს სალდათი.

— რატომ, გაკვირვებით კითხულობთ:—მე მინდა ნავით გავიარო.

— რვა საათი გადასულია. მოკლედ გიპასუხებენ.

— მერე რა ვუყოთ?.. დღე ძალიან ცხელა, მხოლოდ ეხლა შეიძლება კაცი გაგრილდეს, წმინდა ჰაერი ისუნთქოს.

— ნაბძანები არ არის.

— რასა ლაპარაკობ? გაკვირვებით კითხულობთ და არა გჯერათ, რომ სასეირნოდ ყველაზედ საუკეთესო დრო ზღვაში გასვლა აღკრძალული იყოს ვისგანმე.

ეს სიტყვები სალდათის თავხედობა გგონიათ, მაგრამ იქავე მყოფი ვინმე გეუბნებათ:

— მართალი გახლავს, აღკრძალულია იმას შიშით, რომ კონტრაბანდი არავინ გაიპაროს.

— რას მიბძანებთ! კარგად შემომხედეთ; განა მეტყობა რაშიმე, რომ მე მაგგვარი კაცი ვარ? ბუნებას გაუჩენია ჩემთვის სასიამოვნო ადგილი და მარტო სიამოვნება მსურს.

— ეგ ყველა ძალიან კარგი, გესმით ისევ გამოცდილის პასუხი;—მაგრამ რა კაცი ხართ, შუბლზედ ხომ არ გაწერიათ?

გონივრული სიტყვები გაკვირვებთ და თავსა ჰხრით მოაზრებულის სიტყვების წინაშე. მართლაც რომ «შუბლზედ არ გაწერიათ ვინა ხართ» და ამისთვის ერთის მაწანწალა კონტრაბანდისტის გამო, მთელი საზოგადოება სიამოვნებას მოკლებული უნდა იყოს. გამობრუნდებით და გულითა სწუხართ რომ ეკუთვნით იმ ხალხს, რომელსაც სიამოვნება მაშინაც კი ვერ მოუხერხებია, როდესაც ბუნება ასე თანაშემწეობს!

***

მოდიხართ ქუჩაზედ და ხედავთ ორს ყმაწვილ-კაცს შტაცკურს ტანისამოსში, ესპანიოლკებით, პენსნეებით. გაცხარებულს ბაასში არიან.

— რასა ბრძანებთ?.. ნავთის გამოყვანა, ტრანზიტის დახურვა და სხვა ამ გვარი ათასი საქმე, რომელიც ეხლა რუსეთში ხდება, ამტკიცებს, რომ ჩვენი ვაჭრობა დღითი-დღე წინ მიდის და მოსპობს მთელის ევროპის ვაჭრობას. ცხარობს ერთი.

— ღმერთმა ბძანოს, რომ აგრე იყოს, უპასუხებს ურწმუნოდ მეორე და დაუმატებს:—მე კი არა მჯერა და...

— თქვენ სრულიად არაფერი გჯერათ, სრულიად! ყვედრებით ეუბნება

ნაც სწავლა-განათლების და წერა-კითხვის შეთვისების სურვილი მეტად გავრცელებულია სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, ვიდრე საქართველოს სხვა ნაწილებში. ამას დავუმატოთ ისა, რომ იმერეთში მცხოვრები ხალხი ერთიანად ქართველია და არა აჭრელებული: გარდა ამისა იმერეთში მოიპოვება საკმაო ლიტერატურული ძალა, რომელიც ყოველთვის შესძლებს ერთის ან ორის ჟურნალ-გაზეთის დახმარებას და გამოცემას. ყველა ეს გარემოება ფრიად სასარგებლოა ჟურნალ-გაზეთის გავრცელებისთვის, თუ რომელიმე მიზეზი, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ზემოთ-მოხსენებულ გარემოებებთან, გზაზე არ გარდელობა. ეს გარემოებანი შეუცვლელნი დარჩებიან და «შრომის» ბედს კარს სამსახურს გაუწევენ, თუ რომ «შრომის» იმედი განხორციელდა. მაშინ, რასაკვირველია, გაზეთი შედარებით უკეთ იშრომებს და გაუწევს საზოგადოებას იმოდენს სამსახურს, რაოდენიც შესაძლო იქნება ჩვენს ვიწრო კალაპოტში მოქცეულ მწერლობისათვის.

## ახალი ამბები.

≈≈ ეტყობა სიცხეები მარტო ქალაქში არ არის და ყველგან ერთნაირადა სწვავს მზე. აი, ქუთაისიდამ გვწერენ, რომ მისს მახლობლად გუშინ, 17 ივლისს, სიცხით ორი კაცი უცებ მომკვდარა.

≈≈ შორაპნიდამა გვწერენ: ამბობენ, მთებში, სადაც საქონელი უდგათ ხოლმე ზაფხულში საძოვრად, საქონლის ჭირი გაჩენილა და იქიდამ ხარები ჩამოჰყავთ სოფლებში. მივაქცევთ, ვისიც რიგია, მათს ყურადღებას,— გაფრთხილება იქონიონ, თორემ ამისთანა გოლვაში თუ ჭირი მოედო, შეიძლება მთელი მაზრა უსაქონლოდ დარჩეს.

≈≈ ყვირილიდამ გვატყობინებენ: საოცარი სიცხე იყო აქ გუშინ, 17 ივლისს. ამისთანა სიცხე არავის ახსოვს ამ ოც-და-ათ წელში.

≈≈ იქიდამვე გვწერენ: გამოუთქმელს გაჭირვებაში არიან საწყალი გლეხები, რომელნიც შავს-ქვას ჰზიდავენ. ორმოცი ფუთი შავი-ქვა ოც-და-ათ ფუთად გამოჰყავთ და ათი ფუთის ფულს აკლებენ თითო გზობაზედ. სტირიან საცოდავები და მათი გამკითხავი და შემბრალე არავინ არის. გზები გაფუჭებული და გაოხრებულია. ბოგირები აღარ ვარგა. არ არის პატრონი და მომხედავი კაცი. მოუთმენელად მოელიან ახალს გუბერნატორს,— იქნება იმან მაინც მიაქციოს ყურადღებაო.

≈≈ ბათუმიდან გვწერენ: დღეს თხუთმეტს ივლისს დილით თორმეტ საათზე გაჩნდა საშინელი ცეცხლი პალაშკოვსკის სახელით მონათლულ ბ. ბუნგეს ნავთის ზავოდში და ორის საათის განმავლობაში გადიწვა ნავთისათვის ქესტის ჭურჭლის საკეთებელი ზავოდის განყოფილება. ზარალი 40 ათას მანეთამდე აღემატებაო, ამბობენ, რადგანაც საუკეთესო ამერიკის მაშინები და ბევრი ნავთი დამწვარა. ყველა ესენი ცეცხლისაგან მზრუნველ საზოგადოებაში ყოფილა შეტანილი და პატრონისათვის იმდენად საგრძნობელი არ იქო, როგორც ბათუმელებისათვის საშიში, რადგანაც იქვე ახლოს სამი დიდი რეზერვუარი ფოტოგენით ყოფილა სავსე და ეშინოდათ ამის გასკდომისა, რაიც მთელს ბათუმს გაანადგურებდა. ცეცხლი გაჩნდა გაუფრთხილებლობით, ანუ უკეთ ვსთქვათ, მოურავის უთაურობით, რადგანაც, სადაც ფოტოგენს ასხამდენ თურმე, იქვე ქესტის ჭურჭლების დასაკავშირებლად ცეცხლის კერა ყოფილა გაკეთებული. კორესპონდენტი ამბობს: «ბევრი ცეცხლი გვინახავს, მაგრამ ამისთანა ძლიერი არა. ყველა ნიშნს უგებდა, რომ «მაგათზე ახია რაც დაემართოსო და ღირსნი არიან მაგისთანა დახიანებისაო». ამ ნაირ ხალხის გულგრილობას ჩვენი კორესპონდენტი იმას აწერს, რომ: «ყველას ჰგონია ეს ზავოდები ყველა საწყალის მუშის ფულებიდან გადარჩენილ ეკონომიიდან გაკეთებულიაო, იმ მუშების ეკონომიიდან, რომელთა ბათუმ-სამტრედიის გზის კეთების დროს ისე უწყალოდ აწვალებდენ და საჩივლელად უხდიდენ საქმეს; ხანდისხან კიდეც შეირჩენდენ და ატირებულს აგზავნიდენ სახლებშიო.»

ბოლოს ამბობს კორესპონდენტი: კარგი იქნება, რომ ვისიც რიგია ამ შემთხვევამ აახელინოს თვალები და ახლა მაინც არც ამათ, არც სხვებს ქალაქში არავის მისცენ ნება ნავთის რეზერვუარების დადგმისა, რომ ერთ მშვენიერ დილას ეს ჩვენი მშვენიერი ბათუმი ცეცხლმა არ ჩაჰნთქას. მგონებ ამას კანონიც უკრძალავს, რომ ქალაქში ამისთანა ზავოდები არ შეიძლება და რისა და ვისის წყალობით მიეცათ ამათ ნება. ამას მიხვდება ის ვინც ბ. ბუნგეს იცნობს და იცის მისი ბიოგრაფია.

≈≈ იქიდანვე გვწერენ: ბათუმში ამ ახლო ხანში დიდის ამბით აპირებენ გადახდას, რადგანაც ერთსა და იმავე დროს გათავდება ბაქოდგან ბათუმამდის და სოუხსუდან ბათუმამდის (სულ სამი ვერსი ძლივს არის) საქმე ნავთისა და წყლის ლარებით მოყვანისა! ყველა ეს მალე იქმნება, რადგანაც ორივე გზისათვის ლარები ამერიკაში დიდი ხანი არ არის, რაც შეუკვეთეს და წყლის მოყვანის საქმე ბ. პარცოვს აქვს მინდობილიო. მაშ მოგილოცავთ ბათუმელებო!!.

≈≈ ბათუმიდამვე გვწერენ: «დროების» ტპილისელ რეპორტიორს ან ოხუნჯობით, ან შეცდომით მოსვლია, რომ ბათუმში ვითომც ორი კაცი გამხდარიყოს ავად. («დროება» № 134) ეს ტყუილია, ბატონებო. ხოლერით არავინ გამხდარა ავად და არც გხდება პირველად იმისთვის რომ ბათუმში (ღმერთო შეგცოდე სიცრუისთვის) დიდი სისუფთავეა და დიდ ყურადღებას აქცევენ ამას, მეორე იმისთვის, რომ დიდი ხანია ხოლერა გაუჩინეს ჩვენ საწყალ ჯიბეს ყოველ ღამე წარმოდგენებმა: ასე წარმოიდგინეთ ბათუმში ფრანცუზულ კონცერტსაც მოვესწარით და სხვას ვილა ანგარი-

---

ისევ პირველი:—ახლა იმასაც იტყვით, რომ სწავლამა და განათლებამაც არ წაიწია წინ?.. მაგის თქმა მხოლოდ რუსეთის მოსისხლე მტერს შურით შეუძლიან სიქვას.

მეორე მოლაპარაკეს შეეშინდა, რომ მისთვის მოსისხლე მტრობა არ დაეწამებინათ და საჩქაროდ წამოიძახა:

— ო-ო, რაც განათლებას შეეხება...

— დიაღ, ჩემო ბატონო! გააწყვეტინა პირველმა:—ჩვენში სწავლა და განათლება ადგას ნამდვილს პროგრესის გზას; ის მიდის შეუწყვეტლივ და გაჩქარებით, კიდეც მოიტანა ტკბილი ნაყოფი, და შორს ჩამორჩენილი ევროპა შურით გვიყურებს და ამაოდ ცდილობს ჩვენს მოწევას.

ამ დროს ხალხში მოისმა: აგერ, აგერ! ყველანი შედგნენ და ხელს იშვერდენ ერთს მხარეს, სადაც ვიღაცა ყმაწვილი კაცი ცხენს ანავარდებდა.

მეც შევდეგ და ვიკითხე:

— რა ამბავია, ვინ არის?

მე დარწმუნებული ვიყავი, რომ რომელსამე გმირს დამისახელებდენ, რომელსაც თავი ეჩინა რაიმე თვალსაჩინო მოქმედებით.

— არტილერისტი, არტილერისტი! იძახდა ხალხი.

მე ვიფიქრე: «უკანასკნელს ბრძოლაში თავი თუ იჩინა»-მეთქი და ვიკითხე:

— სად გაიმარჯვა მაგ ყმაწვილმა კაცმა?

— ბათუმში.

ვიცოდი ბათუმი უბრძოლველად დაგვრჩა და ამისთვის ჩავფიქრდი.

— ბათუმში რომ ბრძოლა არა ყოფილა? ბოლოს ვიკითხე.

— როგორ არა, იყო, საშინელი შეტაკება იყო. მივიღე პასუხად.

იაევ ჩავფიქრდი და რაც გონება მქონდა მოვიკრიფე, რომ მომეგონა,— ხომ არსად გამეგონა ბათუმში ბრძოლის ამბავი, მაგრამ ჩემი მეცადინეობა ამაოდ რჩებოდა: ან სრულიად არ გამეგონა ამ გვარი შემთხვევა, ან გონება მღალატობდა.

ერთბაშად მე მომაგონდა ერთის ფრანცუზულის გაზეთის ოხუნჯობა, რუსულ გაზეთებზედ. ის ამბობდა: «რუსული გაზეთები აქამდინ გვაცნობებენო, რომ ფიცხელ შეტაკებაში ყაზახებმა ორასი მტერი გაწყვიტესო და ყაზახი-კი ერთი მოკვდაო, ისიც ცხენმა გადმოაგდოო. «ეს გაზეთები, ამბობდა ფრანცუზული გაზეთი, ჩქარა იმ მდგომარეობამდის მივლენო, რომ დასწერენ: მტრების მხრით ორასი დააკლდაო და ყაზახების მხრით შვიდი დაიბადაო.»

მეც ვიფიქრე: თუ ამისთანა მეტამორფოზულის ცნობებით ივსება გაზეთები, იქნება ბათუმში ბრძოლა მშვიდობიანობად შეიცვალა-მეთქი და ვიკითხე:

— როდის მოხდა ეგ ბრძოლა?

— წუხელის. მოკლედ მიპასუხეს.

წუხელის... ბრძოლა... სრულიად გადავირიე, ყურებისა არ მჯეროდა!

— ბამაგებინეთ, რას ამბობთ? შევეხვეწე.

— წუხელ ჩერქეზულიი ტანისამოსი ჩაიცვა, აისხა იარაღი და ბ. X-ის სახლში შეიპარა. X-ს რაღაცა ეჭვები ჰქონდა მაგ ბატონზედ და სახლიდგან დაეთხოვა... სახლის პატრონმა შეიტყო შეპარვა, დაიყვირა, მოცვივდა ხალხი, ჟანდარმები, ჩერქეზულის ტანისამოსით სეირნობის მოყვარე დაიჭირეს და იქამდინ სცემეს, სანამ სახლიდან კოკარდიანს ქუდს მოატანინებდა...

— განათლება ადგას ნამდვილს პროგრესის გზას.. იმან კიდეც მოიტანა ტკბილი ნაყოფი... არ ისვენებდა წინანდელი მოსაუბრე.

— არტილერისტი! მოუთმენლად წამოსცდა ვიღასაც და დაუმატა: ეგეც თქვენი პროგრესის გზა, ეგეც ტკბილი ნაყოფი მისგან მოტანილი!

***

საფრანგეთის სასტუმროს წინ ორი კაცი შეხვდება ერთმანერთს. ერთი გასიებულა, ჩაწითლებულა, თვალები ჩასისხლებია და კისერს ძლივსღა იბრუნებს. მოდის წყნარა, ხვნეშით თითქოს ქვეყნის ცოდო მას დასწოლია კისერზედ და მძიმე ტვირთი თავისუფალის სუნთქვის ნებასაც-კი აღარ აძლევსო.

მეორეს მხრიდგან აწოწვილი, გამხდარი, გაყვითლებული და ნერვიანის აგებულებისა. მოდის ჩქარა, თითქმის ხტუნაობით და თვალებს ისე აცეცებს, როგორც გაუმაძღარი მგელი, რომელსაც ეშინიან ლუკმა არ გამოეპაროს და დროზედა სწვდეს.

— ივან ივანიჩს ვახლავარ, ხელის გაშვერით და ხვნეშით ეუბნება ერთი.

— კარაპეტ გასპარიჩს ვახლავარ, უპასუხებს გამხდარი.

— რა მოგვივიდა, რა? თავის ქნევით და ხვნეშით ეუბნება კარაპეტა.

— ოჰ, ნუღარა ბძანებთ! კისერის გადაგდებით აძლევს პასუხს გამხდარი.

— დავრჩათ შტატს გარეთ! ოხვრით აგრძელებს სქელი.

— დავრჩით, დავრჩით! ბანს აძლევს გამხდარი:—რაღამ უნდა გვაცხოვროს.

— ოღონდაც, ოღონდაც! ეთანხმება კარაპეტა.

— ნეტავი ისევ ჯამაგირები წაერთვათ და ადგილები კი არა.

— ნეტავი, ნეტავი, ივან ივანიჩ?

შობს—ჯურა ჯურად გადმოხვეწილებს.

≈≈ გაზ. «რუსეთის უწყებები» გვატყობინებს, რომ გზათა მინისტრს უბრძანებია ინჟინერებისთვის, რომელნიც ეხლა რუსეთისთვის სხვა-და-სხვა ალაგებში ახალ რკინის გზებსა ჰპლანავენ, რაც შეიძლებოდეს, გზები ქალაქებს არ აცილოთ, როგორც მოხდა ნიკოლაევის და ვლადიკავკაზის რკინის გზებზედაო.

ამისთანა განკარგულება ბ. მინისტრისა ფრიად გონიერია, მაგრამ ერთობ დაგვიანებულია. თუ მაგალითები უნდოდათ უდაბნოებში გაყვანილის რკინის გზებისა, ჩვენი ბაქოს გზა ელოთ,—რაღა შორს მიდიოდენ?

## «დროების» კორესპონდენცია.

—

ფასანაური, 15 ივლისს. ამ რამდენიმე წლის მოუსავლობამ მთიულეთის ხალხი ძლიერ შეავიწროვა. წრეულს კი, მადლობა ღმერთს, და ჩვენს ბედ-იღბალს, ძლიერ კარგი მოსავალი მოგვდის აქა-იქ მთებზედ პატარ პატარა ნაგლეჯ ნაგლეჯის ნახნავებიდგან, თუმცა ჩვენთვის მესამედათაც საკმარისი არ იქმნება. წრევანდელის ჩვენის ყანებისათვის კი კარგია, რომ კარგს მარცვალს გაიკეთებს თავ-თავი ბევრის წვიმების შემდეგ ეხლანდელის დარების გამო, მაგრამ ცოტა არ არის, რომ სიცხეებმა შეუჩვეველს ხალხს დაგვკრა; თუმცა კი ზოგიერთნი, აქ საზაფხულოდ თბილისიდან მოსულები, არცკი გრძნობენ ამ სიცხეს შედარებით თბილისისა. მაინც თბილისიდან მომავალი მგზავრი თითქმის აქ იბრუნებს სულს და ჰსტკბება მშვენიერის ჰაერით. აქ მეელებურად კიდევ ბევრი სავაჭრო დუქნებია, მაგრამ უვაჭრობისაგამო მოვაჭრეთ ყურები ჩამოუყრიათ მხოლოდ; ისდა ანუგეშებსთ მოვაჭრეებს, რომ ამ კარგის მოსავლით საცოდავის გლეხისაგან არ მოაკლდებათ ვაჭრობა და წურბელასავით გამოსწუწნიან უმეცარს მთიულს. მაგრამ ერთს საწყალს მთიულს კი უბედურობამ მოუსწრათვა და აღარ შეასწრო ახალს მშვენიერს მოსავალს,—და მთელი ახლო-მახლო ხალხი ატირა. აი რაშია საქმე: ერთმა საწყალმა გლეხმა ბერა ქარჩაიძემ სოფელს ლაგათ-ხევის მცხოვრებმა, გაგზავნა თავისი შვილი საბა ქალაქს ქირით აქაურის სოსო აბულაძის მატულით. საბა ვითომც ანანურის ზასტავიდან ამხანაგთ დაშორებიყოს სამშაბათს 12 ივლისს ხარის დავარდნილობისაგამო და ოთხშაბათს 13 ივლისს ფასანაურიდან მეოთხე ვერსის სიშორეზედ «სამხედრო საქართველოს შოსეს გზაზედ» 16 ნაბიჯზედ გზის პირიდამ იპოვეს გაშხლარტული, ლომივით ოც-და-ხუთის წლის ბიჭი. ხანჯალი თორმეტ ალაგასა აქვს დაკრული. შეტყობის უმალვე ქვიშეთის ბოქაულმა ბატ. ბერიძემ, ნახვის შემდეგ, მოახდინა განკარგულება და მისწერა ყველა მამასახლისებს, რომ მოსულიყვნენ და ეცნოთ, თუ რომელ საზოგადოებას ეკუთვნოდა დაკუწული საბა, მაგრამ ვერავინ იცნო. დღეს კი, ესე იგი 15-ს წუხელ მოსულმა დუშეთის მაზრის ექიმმა პრისტავის თანადასწრებით გასჭრა და დამარხეს იქვე ქრისტიანულის წესით.

დამარხვის შემდეგ ე[illegible]თის ვე[illegible]სის სიშორეზედ გამოკლილმა ბოქაულმა ფასანაურის მღვდელთან ერთად ნახა ვიღაცა ბებერი კაცი სი[illegible]ბილით მიმავალი და მტირალი «ვაჲმე შვილოს!» ძახილით. საწყალი ბებერი წამოსულიყო თავის შვილის ამბის შესატყობად, შემდეგ ამხანაგების სახლში მისვლისა. ფასანაურში შეეტყო უცხო კაცის მოკვლა და მაშინვე დაეყვირა: «ვაჲმე ჩემი შვილი იქმნება!» არც მოსტყუვდა უბედური.

ძლიერ თავ-დადებით მოეჭიდა საქმეს მთის ბოქაული და იმედია ამ ცოტას ხანში აღმოაჩინოს ბ. ბერიძემ ამ უბედურის საბას მკვლელები. ცოტა ეჭვი იმის ამხანაგებზედაც კი არის და ბოლოს სიმართლეს აღმოაჩენს. უკეთუ პოლიცია რაიმე ღონის-ძიებას არ მიიღებს ამისთანა საქმის ასაცდენად და მოსასპობლად ესეთი ბარბაროსული სიკვდილი ერთობ გახშირდება მთაში.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

დიდი ხანია რაც იტალიაში დაიწყო აგიტაცია მიცვალებულის დაწვაზედ. სიტყვით ყველას მოსწონს დაწვა, მაგრამ მიცვალებულს კი გახურებულის ქურისთვის არავინ იმეტებს და ისევ ციგ მიწასა რჩეობენ! ყველა ახალისა და სასარგებლოსთვის თავ,—გადადებულმა გარიბალდიმ მოინდომა მაგალითი ეჩვენებინა იტალიელებისთვის და სიკვდილის დროს სთხოვა თავის ჭირისუფლებს მისი გვამი დაეწვათ, მაგრამ ცოლშვილმა დიდებული პატრიოტი დასაწვავად ვერ გაიმეტა და ისევ ძველ წესზედ დაასაფლავეს. მხოლოდ პროფესორმა და სენატორმა ჩიპრიანმა აჩვენა [illegible] მაგალითი დაწვისა იტალიელებს.

რომში ვეებერთელა სახლია აშენებული ძველი ეგვიპტის ტაძრების პლანზედ მიცვალებულების დასაწვავად. შენობა გაყოფილია სამ ნაწილად: პირველში დაასვენებენ მიცვალებულს და ანდერძს აუგებენ; მეორეში თითონ დასაწვავი ქურაა გაკეთებული; მესამეში ყუთების დასადგმელია, რომლებშიაც უნდა ინახებოდეს დამწვარის გვამის ფერფლი.

როგორც ზევითა ვსთქვით, 7 წარსულს ივნისს, იმ ახალს ტაძარში დასწვეს გვამი სენატორის ჩიპრიანისა. მთელის სხეულის ჩანავლებას მოსდომია ორ საათ ნახევარი და ქურა ისე თურმე ოსტატურად არის გაკეთებული, რომ ნამწვეი სუნი არ ისმოდაო. დაწვის ცერემონიას დასწრებიან თითქმის ყველა წოდების წარმომადგენელნი. ჩიპრიანის ფერფლი შეუგროვებიათ მერე ცალკე ურნაში და დაუდგავთ შვილი-შვილთ სახსოვრად!

ესე, ჩემო ბატონებო, სენატორი და პროფესორი, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინად, სენატში და მეცნიერების ტაძარში, «глаголомъ жечъ сердца», როგორც ამბობს რუსის პოეტი, ეხლა ფერფლად ქცეულა და ქოთნით თაროზედა სდგას! ეს არის კაცის სიცოცხლე.

—

გაუმაძღარი. ამ ცოტა ხანში პარიჟში გარდაიცვალა ერთი გაუმაძღარი კაცი, სახელად ალფრედ მუშე, საშინელი დიდი ტანისა და გამხდარი. დღეში მანეთ ნახევარს შოულობდა და ეს ფუ-

---

მოლაპარაკეთ მოემატება ხალხი, ყველანი ოხრავენ, ყველანი შტატს გარეთ არიან დარჩენილები და ერთ ხმად შებღავიან ღმერთს; ყველანი ადგილის გაუქმებას რჩევობენ ჯამაგირის მოსპობას.

— მოდით, გუბერნატორსა ვთხოვოთ! ერთბაშად წამოიძახებს ბათუმის «გოგრათაგანი».

— რა ვთხოვოთ? კითხულობს რამდენიმე ხმა.

— დეე, ჯამაგირები წაგვართვას, ოღონდაც ჩვენს ადგილებზედ დაგვყაროს.

— Чѣмъ-же мотивировать? კითხულობს ერთი.

— მოთივობაა, თუ რაღაცა ეშმაკია, რად გვინდა?.. პირ-და-პირ მივიდეთ და ვუთხრათ,—ჩვენი ქვეშევრდომული გრძნობა იქამდინ «მიფორთხალებს» სამსახურის სურვილისამდე, რომ თანახმა ვართ უჯამაგიროდ ვიმსახუროთ.

— კარგი იქნება, კარგი! მოიწონეს ყველამ და გასწიეს გუბერნატორის სახლისკენ. ამის შემდეგ რა ქნეს არ ვიცი, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას გუბერნატორამდის აღარ მიუღწევია... უთუოდ შეეშინდათ, რადგანაც საერთო ყრილობა კანონისგან აღკრძალულია!

გონივრულმა არჩევამ ასე ამაოდ ჩაუარათ თბილის ადგილების მოყვარულებს.

* * *

აგერ გამოჩნდა ვიღაც, უეჭველია, ამ ქვეყნიური ძალა; ყველაფერში ეტყობა, რომ თავის მდგომარეობით კმაყოფილია. ამას არ შეხებია შტატების შემცირება. მოდის გედსავით, პირისახეზედ ღიმილი უთამაშებს, თვალები უცინის, საწყალს განდევნილებს სიამაყით უყურებს, თითქოს ეუბნება: «შორს, მომაკვდავნო, თქვენ ჩემნი ტოლნი არა ხართ»!

იცინის, მხრებს იწევს, იპიმება. თან მოსდევს «ბულდოგის» მსგავსი, თავ-დასიებული, პორტფელ-იღლიაში ამოჩრილი პატარა კაცი, რომელიც ცმუკავს და განუწყვეტლივ რაღაცას ეტიტინება.

მეორე მხრიდგან გამოჩნდება რკინის გზების მინდობილი პირი, რომელიც აქამდის გაჯგიმული მიდიოდა და ერთბაშად მელასავით მოიკუნტა. ლაპარაკში ეტყობა, რომ ეს სხვა გვარ-ტომობისა უნდა იყოს; ინგლისელი, ფრანცუზი, ან ნემეცი, იქნება. ურიაა...

მოვა ძალის მქონებელთან და თავს დაუკრავს, მდაბლად თითქმის მიწამდის დახრით.

— თქვენო ბრწყინვალებავ, დასძრავს ბაგესა; ტკბილი ხმა თავსბრუს დამხვევად მოქმედებს.

ამ ქვეყნიური ძალა შეხედავს.

— ა—ა... თქვენა ხართ? გაუშვერს ორს თითს.

პორტფელიანი ბულდოგი ცმუკავს, ახალ-მოსული მოწიწებით ხელს ჩამოართმევს.

— მე თქვენთან გიახლებოდით, დაიწყებს ახლად მოსული: — ეს არის ეხლა მოვედი და მაშინვე ისა ვსთქვი: წავიდე მათი ბრწყინვალება ვნახო მეთქი და გიახელით რომ ჩემი გულითადი პატივის-ცემა შემემოწმებინა.

— კარგი, კარგი, ღიმილით უპასუხებს ბრწყინვალება, რომელსაც ასიამოვნებს მოსულის ლაპარაკი:— სხვა რა ამბავია?

— რა ამბავია, თქვენო ბრწყინვალებავ, ზღვის ნაპირზედ ვიღაცა მარჯან-აღასა აქვს ადგილი, სულ სამოციოდ საჟენი არ გამოვა... ჩვენ გვეჭირება ეს ადგილი, ეგების როგორმე მოგვიხერხოთ.

რატომ, რატომ დავიბარებ მარჯან-აღას, ვეტყვი მოგყიდოს...

— თუ არ დაგთანხმდათ და თქვენის ბრწყინვალების რჩევა არ გაიგონა, მაშინ მიწა გამოვართვათ, სარგებელი ათის წლის ანგარიშზედ ვიანგარიშოთ, მივცეთ ფული... ვგონებ ზარალში არ მოვიდეს...

— რა არის იმ ადგილზედ? იკითხა ძალამ.

— ხის მასალის ქარხანა გახლავს. ჩაურთო პორტფელიანმა ბულდოგმა გახარებით, რადგანაც იმასაც სიტყვა შეხვდა.

— დიალ უბრალო ქარხანა გახლავს. დაუმატა ახალ მოსულმა.

— ქარხანამ რა უნდა მისცეს?.. ათი-თხუთმეტი თუმანი წელიწადში.

— დიალ თქვენო ბრწყინვალებავ. ის მიწა სრულიად უბრალოდ გდია.

— ეგ კარგი, მაგრამ ათის წლის სარგებელი რომ შევკეცოთ სულ ორას თუმნამდინ დაიჭერს და ზღვის პირზედ ადგილები-კი ძვირადა ფასობს.

— მარჯან-აღა იქ ვერაფერს გააკეთებს, მიწა ისე ეგდება, თქვენო ბრწყინვალებავ. კიდევ მოვუმატებთ რასმე, ოღონდაც, მოგვარიგეთ...

— აი ვნახავ, ვეცდები... უპასუხა ძალამ და გაბრუნდა ვიღაც კაცისკენ.

ბულდოგმა შეხედა მიწის ვაჭარს, ვაჭარიც მიხვდა და თვალები ჩააცეცა.

— იქნება? იკითხა ბულდოგმა.

— მაგას რა თქმა უნდა. უპასუხა ვაჭარმა.

— თუ ეგრეა, მიწა თქვენია. გადასწყვიტა ბულდოგმა და ყველანი გაშორდნენ. ნეტა ვიცოდე მარჯან-აღა რაღას იფიქრებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მარტო საჭმელზედ არა ჭყოფნიდა, ხშირად მიიწვევდენ ხოლმე პარიჟის არისტოკრატები და უფროსები,—რამდენს შესჭამსო თითო დაჯდომაზედ მუშე ჩაალაგებდა ხოლმე მთელს ინდაურს, ერთ ლიტრამდე შემწვარს ცხვრის ხორცს, რამდენიმე გირვანქა პურს. ერთ გირვანქა ყველს და რამდენიმე ბოთლ ღვინოსაც ზედამ დააყოლებდა ხოლმე. მუშე ამას საუზმეს ეძახოდა და არა სადილს. უცხო ქვეყნელი მოგზაურები განგებ მოსმენიდენ ხოლმე მუშეს პარიჟში და იმის ჭამას უყურებდენ. ერთმა ინგლისელმა იმასთან გასაჯიბრებლად გერმანიიდამ მოიყვანა ერთი მუშესავით ნაზი მჭამელი, ყმაწვილი, ნემეცი, ჭანს დიტრიხი ამ ორმა ჭამიამ, ყანის მომკალ მესტეურებივით, შეუტიეს მათ წინ გოროსსავით აგებულ ხორაგეულობას და მთელი ორი საათი წისქვილის ქვებივითა მუშაობდენ მათი ყბები. ნემეცმა დიტრიხმა ვეღარ გაუძლო და გადიბარცა იქვე, თუმცა კი არ მომკვდარა. მუშეც აჯად გახდა ამ სადილის შემდეგ. გამოჩენილმა ექიმებმაც ბევრი ჯერ გაშინჯეს მუშე. 1877 წელში დოქტორმა ლაშამ დასწერა იმაზედ რეფერატი და წარუდგინა სამეცნიერო აკადემიას. ლაშას აზრით მუშე საოცარი მოვლენა იყო და შედარება მოჭყუვანდა ერთის ჭასკოჩელის კაცისა, ლორიონისა, რომელიც თურმე დღეში მარტო თხუთმეტ გირვანქა ცარიელს პურსა სჭამდა.

---

# განცხადებანი

## სასარგებლო აბანო.

მრავალს გაეგონება, რომ ქვალითის სოფელში შორაპნის მაზრაში არის სასარგებლო აბანო, მარამ ძლიერ მოუწყობელი. უცხადებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მე ავილე ეს აბანო იჯარით და გავმართე ძლიერ კარგად. ქვალითის აბანოს წყლები, როგორც გამოცდილებით და ნასწავლი კაცების გამოკვლევით შეტყობილია არჩენს ცივი ქარების სნეულებთა; არჩენს დასუსტებულებს, თავის ტკივილს, მჭვლით ავად-მყოფებთა და აქრობს ტანის ქავილს. ჩქელას თავისუფლად შეუძლიანთ ისადგურონ და იბანაონ რამდენი ხანიც სურსთ ამ აბანოზე და ფასიც ძლიერ იაფია.

აბანოს მოიჯარადრე ევნატე კახელი.

(2—1)

---

## ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლისაგან.

მომავლის სეკტემბრისათვის ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში შეიძლება მიღებულ იქმნენ ყველა მაზრებიდგან მხოლოდ ორმოც-და-თვრამეტი ყმაწვილი (58); ოც-და-თვრამეტი პირველს (დასაწყისს) განყოფილებაში და ოცი—მეორეში.

პირველს განყოფილებაში მიღებულ იქმნებიან უკვზამენოდ შვიდის და რვა წლის ყმაწვილები. შემომსვლელთ მეორე განყოფილებაში უნდა ეცოდინსთ ქართული წერა-კითხვა და არითმეტიკიდგან შესწავლილი უნდა ექმნესთ ყოველ მხრივ რიცხვები ერთიდგან ოცამდის. მესამეში შეუძლიათ იხოვნის შემოტანა ოც-და-ხუთს აგვისტომდის; ოც-და-ხუთიდგან თვის დამლევამდის იქნება ახალი მოსწავლეების მიღება. ერთად თხოვნასთან, რომელიც იწერება სასწავლებლის ინსპექტორის სახელზე, საჭიროა წარმოადგინონ თავად-აზნაურობის მოწმობა, ან მოწმობა ბანკიდგან, რომ მთხოვნელი ბანკის დამფუძნებლად ირიცხება, და წლოვანობის მოწმობა.

მესამე და მეოთხე განყოფილებებში და აგრეთვე პირველს პროგიმნაზიულს კლასში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ ამ კლასებში შემოსვლის თხოვნა მიღებული არ იქმნება.

(15—10)

---

# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | | მოსკოვის ჩაის | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 1 მ. 10 კ. | | | 1 მ. 40 კ. |
| — | — | 1—20 | — | — | 1—60 |
| — | — | 1—40 | — | — | 1—80 |
| — | — | 1—60 | — | — | 2— ,, |
| — | — | 1—80 | — | — | 2—50 |
| საუკეთესო | | 2— ,, | — | — | 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, განიფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1.000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის.

(100—8)

---

## ინგლისური რკინის კრაოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხაფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა.

(100—91)

---

ინგლისის მაღაზიაში

### თმის-აღმოყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—7)



### მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის-პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

# შპალერები

აუარებელი და ისყიდება ქარხნის ფასებით

ძმათა ტარნოპოლების

ქარხნის ადგილის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.

ნარდათ მეიდველთ დაუთმობათ.

(40—40)

---

საგლობუსო 

კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი საგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარისა კალმები, ყოველის „ხელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები. პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაქსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისათვის კლიონკები. ტაშტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყელები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საექიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ.

(100—48)

---

## 25% უფრო იაფად მინამ სხვაგან

ციტრატი, მაგნეზია, ყავის საფქავი, საურველები, უთოები, კრაოტები, ტანისამოსის ჩამოსაკიდებელი, კლიონკა, დანები, შჩოტკები, ჩანგლები, კალმები, ჩაი პირველი რთველისა და სხვ. ინგლისის მაღაზიაში.

(10—8)

---

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 16 ივლისიდამ 1 აგვისტომდე 1883 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |

---

# რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
9 საათზედ და 46 წამ. დილით.

თბილისიდამ ხაშურამდინ
2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ
9 საათზედ დილისა.

რიონიდგან თბილისისკენ
2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.

ბათუმიდგან თბილისისკენ
9 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ
9 საათ. და 41 წამ. დილისა.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
12 საათზედ ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
8 საათ. და 46 წამ. დილისა.

Дозв. цензурою Тифлисъ, 19 Іюля 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.